კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
COMPETITION AND STATE PROCUREMENT AGENCY

ნავთობპროდუქციის (საწვავის)

კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაცია

2012 წლის 6 იანვარი

სარჩევი

1. კონსოლიდირებულ ტენდერში (CON-12001) მონაწილეობის პირობები 3

2. კონსოლიდირებულ ტენდერში (CON-12001) წინადადების წარდგენის წესი და ვადები, სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა 5

3. საწვავის მიწოდების შესახებ მოთხოვნის მიმწოდებლისთვის გაგზავნა..... 5

4. ნავთობპროდუქციის (საწვავის)კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ხელშეკრულების ფორმა..... 7

5. შესასყიდი საწვავის ტიპები და მარკები..... 8

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების საფუძველზე.

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს დანართი N2–ში მითითებული ტიპისა და მარკის ნავთობპროდუქცია (საწვავი)

1. კონსოლიდირებულ ტენდერში (CON-12001) მონაწილეობის პირობები

1.1 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმწოდებლად რეგისტრირებული მომხმარებელი.

1.2 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ მიმწოდებელს, რომელიც საქართველოს მასშტაბით ფლობს/სარგებლობაში აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სულ მცირე 20 ავტოგასამართი სადგურისგან შემდგარი საცალო რეალიზაციის ქსელი.

1.3 მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებასთან წარდგენილი უნდა იქნეს სულ მცირე 20 ავტოგასამართი სადგურისგან შემდგარი საცალო რეალიზაციის ქსელის ფლობის/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სადაც მითითებული უნდა იყოს ავტოგასამართი სადგურების ადგილმდებარეობა (მისამართი).

1.4 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად მიმწოდებელს გადახდილი უნდა ჰქონდეს კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური – 5000 ლარი; საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების ბანკი	*ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი*
ბანკის კოდი	*REPLGE22*
მიმღები	*სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო*
მიმღების ანგარიში	*GE52BR0000010591718543*

1.5 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) საფასურის გადამხდელი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონსოლიდირებული ტენდერისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი (CON-12001).

1.6 მიმწოდებლის სატენდერო წინადადება ძალაშია მისი საუკეთესო სატენდერო წინადადებად მიჩნევის დღიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.7 მიმწოდებლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) (შემდგომში – საწვავი) მიწოდების ძირითადი პირობები უნდა გამოქვეყნდეს ამ მიმწოდებლის ვებგვერდზე.

1.8 მიმწოდებელმა თავის ვებგვერდზე ყოველდღიურად უნდა განათავსოს ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული საწვავის 1 ლიტრის ფასის შესახებ საწვავის მარკების მიხედვით. ეს ინფორმაცია უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაში თითოეული დღის ფასის ნახვა.

1.9 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში მითითებული უნდა იყოს იმ ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც გაიგზავნება 3.1 პუნქტში მითითებული ელექტრონული შეტყობინება.

1.10 მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომელშიც საწვავის 1 ლიტრზე დისქაუნთი 3 თეთრია, არ შეიძლება მოიცავდეს დამატებით პირობებს.

1.11 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში წინასწარი გადახდის, მიწოდების პერიოდულობის ან/და სხვა დამატებითი პირობების შემოთავაზება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში საწვავის 1 ლიტრზე დაფიქსირებული დისქაუნთი არანაკლებ 4 თეთრია.

1.12 2012 წლის 20 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სატენდერო კომისიას სატენდერო წინადადებით ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს იმ მიმწოდებელმა, რომელსაც კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობა არ მიუღია. ასეთ შემთხვევაში სატენდერო წინადადების განხილვა კომისიის მიერ ხდება გონივრულ ვადაში და შედეგები ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge.

1.13 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე მიმწოდებელს 2012 წლის 20 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეუძლია მიმართოს სატენდერო კომისიას გაუმჯობესებული წინადადებით, რაც გულისხმობს მისი სატენდერო წინადადების პარამეტრების (დისქაუნთი, წინასწარი გადახდის პირობები და სხვ.) გაუმჯობესებას. ასეთ შემთხვევაში სატენდერო წინადადების განხილვა კომისიის მიერ ხდება გონივრულ ვადაში და შედეგები ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge.

1.14 კონსოლიდირებულ ტენდერში საუკეთესო წინადადების მქონე მიმწოდებლის მიერ გაუმჯობესებული სატენდერო წინადადების წარდგენისათვის საფასურის ხელახლა გადახდევინება არ ხდება.

1.15 საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2012 წლის 31 დეკემბერს.

1.16 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ აღემატება 3 თვეს, საწვავის გატანა ხორციელდება ერთჯერადად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.17 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადა აღემატება 3 თვეს, საწვავის გატანის პერიოდულობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

1.18 მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავზე კონსოლიდირებულ ტენდერში (CON-12001) მონაწილე სხვა საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე მიმწოდებელთან შედარებით ფასის არსებითი გაზრდის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს მიმწოდებელს საწვავის ერთეულის ფასის შემცირების მოთხოვნით ან შეწყვიტოს ხელშეკრულება.

1.19 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების ან სასამართლოს გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.20 საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე მიმწოდებელთან მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს გამარტივებული ფორმით *(დანართი N1).*

1.21 2012 წლის 31 დეკემბრამდე ხელშეკრულების გამარტივებული ფორმა *(დანართი N1)* შეიძლება შეიცვალოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით.

2. კონსოლიდირებულ ტენდერში (CON-12001) წინადადების წარდგენის წესი და ვადები, სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა

2.1 სატენდერო წინადადება დახურული კონვერტით უნდა იქნეს წარდგენილი სატენდერო კომისიაში სააგენტოს იურიდიულ მისამართზე – ქ. თბილისი, პეკინის ქ. 28

2.2 სატენდერო წინადადება შეიძლება ასევე იქნეს წარდგენილი ელექტრონული ფოსტის მისამართზე fuel@procurement.gov.ge

2.3 კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადებების მიღება იწყება 2012 წლის 6 იანვარს 10 საათზე და მთავრდება 2012 წლის 16 იანვარს 19 საათზე. კონსოლიდირებულ ტენდერში წარდგენილი წინადადებების განხილვა ხდება არაუგვიანეს 2012 წლის 20 იანვრისა.

2.4 სააგენტო უზრუნველყოფს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითადი პირობების და მათი ცვლილებების გამოქვეყნებას სატენდერო კომისიის მიერ მათი დამტკიცებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

2.5 კონსოლიდირებულ ტენდერში წარდგენილი სატენდერო წინადადება, რომელიც სატენდერო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, სატენდერო კომისიის მიერ არ განიხილება.

3. საწვავის მიწოდების შესახებ მოთხოვნის მიმწოდებლისთვის გაგზავნა

3.1 შემსყიდველი ორგანიზაცია, საწვავის სახელმწიფო შესყიდვის ყველაზე ხელსაყრელი პირობის დადგენისა და ხელშეკრულების დადების მიზნით, ელექტრონული ფოსტის მისამართზე oilinfo@procurement.gov.ge აგზავნის ელექტრონულ შეტყობინებას მისთვის საჭირო საწვავის ტიპის/მარკისა და მოცულობის, ასევე შესყიდვის სხვა პირობების თაობაზე.

3.2 3.1 პუნქტში მითითებული ელექტრონული შეტყობინება ავტომატურად გადაიგზავნება საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე ყველა მიმწოდებელთან (მათ მიერ თავიანთ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე).

3.3 მიმწოდებელს შეუძლია 3.1 პუნქტში მითითებული ელექტრონული შეტყობინების პასუხად 2 კალენდარული დღის ვადაში კონკრეტულ შემსყიდველ ორგანიზაციას შესთავაზოს საწვავის სახელმწიფო შესყიდვის პირობები, რომელიც არ უნდა იყოს თავისი სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ პირობებზე უარესი. აღნიშნული შეთავაზება ძალაშია მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ელექტრონული შეტყობინების გაგზავნიდან არა უმეტეს 10 კალენდარული დღისა.

დანართი N1

ნავთობროდუქციის (საწვავის)კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ხელშეკრულების ფორმა

ხელშეკრულების დადების თარიღი ..... ხელშეკრულების დადების ადგილი .....

1. ერთის მხრივ, [.....] (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი [.....] სახით და, მეორეს მხრივ, [.....] (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი [.....] სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების მე–9 მუხლის მე–7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი – [საწვავის ტიპი და მარკა].

3. ხელშეკრულების ღირებულება [..... ლარი].

4. მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით.

5. ერთეულის ფასი საწვავის ტიპის/მარკის მიხედვით.

6. მითითება მიმწოდებლის საწვავის მიწოდების სატენდერო კომისიის მიერ დამტკიცებულ ძირითად პირობებზე ან მათ ნაწილზე, რომელთა შესაბამისად უნდა განხორციელდეს საწვავის სახელმწიფო შესყიდვა.

[....]

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

8. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

საწვავის მიწოდების სხვა დამატებითი პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

[....]

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი .... **მიმწოდებელი ....**

დანართი 2

შესასყიდი საწვავის ტიპები და მარკები

<table>
<tr><th>საწვავის ტიპი</th><th>ბენზინი</th><th>დიზელი</th></tr>
<tr><td rowspan="4">საწვავის მარკა</td><td>**რეგულარი** (*ოქტანობა არანაკლებ 91*)</td><td>**დიზელი** (*PPM 50 და მეტი*)</td></tr>
<tr><td>**რეგულარი** (*ოქტანობა არანაკლებ 91, მინიმუმ ევრო 3 სტანდარტი*)</td><td rowspan="3">**დიზელი** (*PPM 50-ზე ნაკლები*)</td></tr>
<tr><td>**პრემიუმი** (*ოქტანობა არანაკლებ 95*)</td></tr>
<tr><td>**სუპერი** (*ოქტანობა არანაკლებ 98*)</td></tr>
</table>